

Image not found or type unknown

საია გმობს პირადი ცხოვრების უკანონო ხელყოფას, მხარდამჭერას უცხადებს ანა დოლიძეს და უკანონოდ ფარული მიყურადების ყველა მსხვერპლს.

საია ეხმიანება ტელეკომპანია **IPRESS** გადაცემა **IPRESS** ფაქტუმში **IPRESS** გასულ სიუჟეტს. რესპოდენტი ივანე გულაშვილი აღნიშნავს, რომ იგი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების თანამშრომელი და მაღალი თანამდებობის პირების დავალებით ფარული მიყურადებისთვის ამონტაჟებდა სათვალთვალ მონაცემებს საჯარო პირების საცხოვრებელ სახლებსა თუ სხვადასხვა ტექნიკურ მონაცემებზე.

საია გმობს პირადი ცხოვრების უკანონო ხელყოფას. მხარდამჭერას უცხადებს ანა დოლიძეს და უკანონოდ ფარული მიყურადების ყველა მსხვერპლს.

ამსათანავე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში, უახლოეს წარსულში არსებობს ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნების მძიმე გამოცდილება და შედეგები, აღნიშნული კი მოითხოვს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან დროულ, მიუკერძოებელ და ეფექტიან გამოძიებას. ამგვარი ხერხებით ბრძოლის ადრესატები უმეტესწილად არიან პოლიტიკოსი და ჟურნალისტი ქალები, რათა პირადი ცხოვრების კადრებით შანტაჟისა თუ გამოქვეყნების შემდეგ მოხდეს მათი პოლიტიკური თუ ჟურნალისტური საქმიანობიდან ჩამოშორება.

ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუვალია და დაუშვებელია პირად ცხოვრებაში უკანონოდ ჩარევა, უკანონო ფარული ჩანაწერების გამოყენებით პირთა შანტაჟი და დევნა. აუცილებელია, რომ სახელმწიფო შესაძლო უკანონო ფარული მიყურადების ფაქტებთან დაკავშირებით ახდენდეს მყისიერ რეაგირებას და ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისამართლებრივი დევნის მექანიზმების გამოყენებით იცავდეს პირთა პირად ცხოვრებას.

შესაბამისად, საია მოუწოდებს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს გადაცემა **IPRESS** პოსტ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ფაქტუმში გასული ინფორმაციის ნამდვილობის და შესაბამისი რეაგირების მიზნით დროულად დაიწყოს გამოძიება. ამასთანავე, საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე გამოძიების დაწყებასა და მიმდინარეობასთან დაკავშირებით უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება.

[1] გადაცემა ფაქტუმში გასული სიუჟეტი _ საიდუმლო ფაილები - ინტერვიუ პირთან, რომელიც სხვის ბინებში სათვალთვალ კამერებს აყენებდა“. ხელმისაწვდომია:

<https://mtavari.tv/news/36763-sus-saidumlo-pailebi-interviu-pirtan-romelits> .